სახალხო გაზეთი

№ 571 ოთხშაბათი, 11 აპრილი, 1912 წ. № 571

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შოომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ელირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. შეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკაის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მოსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ [illegible] ისსაა [illegible] — თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარაკვება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარეშე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართ[illegible] „გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ეროვნულ-ლიბერალური საპოლიტიკო და საფილტერატურო გაზეთი.

კვლავ ვაცხადებთ, რომ „სახალხო გაზეთს" ფულის მიღების უფლებით, არავითარი აგენტი არსად არა ჰყავს, გარდა წ.-კ. სახ. მთავარ მაღაზიისა, და ამიტომ პასუხსაც არავის წინაშე არ აგებს.
„სახალხო გაზეთი"-ს კანტორა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

ILUSTRATEBIANI DAMATEBA!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს **გრდემლს.**

აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

7 აპრილს, საღამოს 5 საათზე, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

თ. ზაქარია გიორგის ძე ერისთავი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მისი **კნეინა სოფიო ლევანის ასული ერისთავისა.** პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზედ. ცხედარს გამოასვენებენ 11 აპრილს, 10 საათზე (გალავინ. პროსპ. არაქელოვის სახლი) ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაასაფლავებენ სოფელ. ოძისში. (2—359—2)

კნეინა ეფემია ივანეს ასული ციციშვილისა, მარიამ სარდიონის ასული და **დავით მიხეილის ძე წიკლაურნი, ბარბარე სარდიონის ასული** და **სვიმონ კოტეტიშვილნი, კნ. ნინა** და **ანნა ციციშვილები,** და **თ-დი ილია გიორგის ძე ციციშვილი ოჯახითურთ,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 9 აპრილს, სოფელ ზემო ნიჩბისში გარდაიცვალა პირველის—საყვარელი მეუღლე, მეორეთა—ძვირფასი შამა და სიმაძრი და უკანასკნელის საყვარელი ბიძა და მამამთილი

თ-დ სარდიონ სვიმონის ძე ციციშვილი.

დაკრძალვა მოხდება 12 აპრილს, სოფელ ზემო-ნიჩბისში. ნიჩბისში წამსვლელთ დღეიდან 12 აპრილამდე, ყოველ დილა საღამოს, სადგურ ქსანში დახვდებათ ურემი და ცხენები. (1.364.1)

ტფილისის კერძო სამკურნალო
ძველნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

(შინაგანი): **ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **ბაღლაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

(ქირურგ.): **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირდოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

(ფარ. ქალ. სნ.): ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირდოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

(ბავშვის ავადმყოფ.): **ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

(ნერვ. ფსიქ.): **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

(ურო-ქელ. ტ.): **ბოენიანცი ნ. ბ.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

(თვალ.): **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

(კანფეტ.): **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროკიმიო და სანბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლიერ ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606" **წამლის** შეშხაპუნება. ელექტროზით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—313)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

შეიძლება დაკვეთა: **ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**
ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები** და **ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი u quarto. **ფასი 8 მანეთი,** რომლის გადადება შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 10 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 100% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელს.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორლანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის სახ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში ქსენიევის ქ., № 7). **ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან; სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან; სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. თელავში—თამარა აბაშიძესთან, ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან. ბაქოში—ილია აგლაძესთან.** ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრედვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისთვის): Тифлисъ. Коргановская № 20, собств. д. Д-ру Мих. Гелевани. ◆ **ფოსტით ფულის მგზავნელთა საყურადღებოდ:** ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით გზავნის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.
ხუთშაბათს, 12 აპრილს,
ქართ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ ტასო და ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი პიესა დე-კურსიელისა:
ორი ჯიგარი, მელოდრამა 5 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.
მონაწილეობენ ქ-ნნი: ამირაჯრბი, ბეჟანიშვილი, ვიქტორელი, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, არადელი, აბდუშელი, გუნია, მესხი, მგალობლიშვილი, ციციშვილი, საფაროვი. **დასაწყისი საღ. 8½ ს.** ადგილებ. ფასი ჩვეულებრივია. (2.1199.1) რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული
კაფე-პარიზი
ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.
ღია იქნება ღამის 2 საათამდე
11—1 საათ. ◆ 1—5 ს. ◆ 5—2 ს.
საუზმე—30 კ. ◆ სადილი. ◆ ვახშამი—30 კ.
ყოველ დღე: ღომი ღომით, საციერი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვაძლევთ თვიურად, დიდის შეღავათით.
(თ.—113—27)

ყურადღება!
თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,
ყურადღება მიაქციონ
ახლად გამოსულ პაპიროსებს
„ირის"
25 ცალი 15 კ. ⅌ 10 ც.—6 კ.
საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.
ყველგან იყიდება.
თამბაქ. ქარხანა
„ძმ. სეილანოვები"
ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.
(100.1036.16)

გამოვიდა და იყიდება
ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნის მაღაზიაში
ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
სალიტერატურო კრებული
„გრდემლი"
ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.53)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

გოგებაშვილი ი. რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები 1 მან.
„ რანი ვიყავით გუშინ 20 კ.
„ Методика къ „Русскому слову для учащихъ . 40 „
„ Нормальное письмо . 20 „
„ Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку . . . . . 50 „
„ Правда о Тифлисѣ . 20 „
„ Къ вопросу о поднятіи образованія среди груз. дворянства . . . . 20 „
„ Какъ улучшить Кавказскую народную школу? 30 „
„ Государственный языкъ въ Грузинской начальн. школѣ . . . . . 30 „
„ Къ вопросу о Мингрельской начальн. школѣ . 20 „

ახლად მიღებული წიგნები:
Къ матеріаламъ по драматической литературѣ XVIII вѣка.
ხახანაშვილი . . . 20 „

თაყაიშვილი ე. Разборъ Армазской надп. и деревянный антиминсъ Метехской церкви . . . . 10 „
„ Канчаетскій „Жамъ-гулани". Груз. надписи Ахталы. Ультиматумъ шаха Ага-Маго Метъ-Хана Ираклю II-му . . . . . 15 „
„ Хроника Эристовскаго Акафиста . . . . . 10 „
„ Еще одинъ изъ источниковъ исторій Грузій 30 „
„ Сигель груз. царя Баграта IV . . . . . 30 „
„ Матеріалы для ист. Грузіи 30 „
„ სიზმარი ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა. ადამის წერილი და ძელი ჭეშმარიტის გაჩენა . 15 „

მე უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. О-во распространенія грамотности. (წ.—1141—23)

დოკტორი მედიცინისა ნამლოგა ჭლექისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—197)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორლანოვის ქ., № 20. (წ.—1022—29).

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწავლობს **საშარდე** ორგანოთა. **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—12)

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ქუთაისში
ძმ. ე. და პ. სააკაშვილები.
გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ **1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ** ჩვენი **რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.** და შეეამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კოკები და სხ., სახელოვნო ხელსაწყობები, ფანჯრების შინები, ბავთული, თუნუქი, „ეესტი", სხვა და სხვა ნაირი ეძალიანი ბურჟეულობა; ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საჭიროები ჩვენი ხელობისა.
ფასები ზომიერია. (25 1195.2)

ქუთაისში
ახალ ჟურნალეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში
ფ. ს. ფილიპპოვისა
ალექსანდროვ.-ქ., ზ. კოკოჩვის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის" ჩვერდით.
საზოგადოების სურვილით
გრძელდება იაფ-ფასიანი ვაჭრობა
აპრილის დამლევამდე. ფასები ნადიზედ და შეუუვაჭრებლად.
(25.1187.4) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპპოვი.**

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხკუთხ **საუენი 80 კ.-დან.**
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანაბმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1147 278)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
. ბა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტეიოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
ნამლოგა „606"
(წლ.—1018—248)

ექიმი **ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—136).

ექიმი **კბილისა არჩილ (გიორგი) ბ-ძე დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა № 166.** (25.1179.12)

ექიმი **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—71.

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—68)

ექიმი **პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.88).

გამოცდილმა
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავალო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.
აგრედვე გააგრძელებს მიღებას:
სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, ხამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მოსაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).
(თ. 1084.134)

დოკტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეზმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მახდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 142)

სახელმწიფო სათათბიროს დეპეშები
როძიანკო თავმჯდომარეობდა.
თავმჯდომარემ გამოაცხადა: სათათბიროს საბჭომ საფრანგეთის პალატას პრეზიდენტის ბრისონის გარდაცვალების გამო სამძიმარი შეუთვალოო. პალატასაც მადლობა გამოუგზავნია.
შემდეგ დეპეშით სამძიმარი შეუთვალეს აგრედვე ინგლისის პალატას „ტიტანიკის" დალუპვის გამო. ფეზზე ადგომით პატივი სცეს სათათბიროს გარდაცვალებულ წევრს ვოლინის გუბერნიის დეპუტატს კლოპოტოვიჩს. შეიმუშავეს წესი ამ

კვირის მუშაობისა: ყოველ დღე იქნება სხდომები, ოთხშაბათს კი საღამობითაც შეკითხვათა განსახილველად, პარასკევს საიდუმლო სხდომა ექნებათ სამხედრო ბეგრის მოხდის წესრიგის შეცვლის კანონ-პროექტის გამო.

მომავალ კვირას, ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის გათავებამდე, კვირაში ხუთი სხდომა იქნება, ერთის საღამოობითაც.

გრაბსკის მოხსენებით უკამათოდ მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ ხარჯთა აღრიცხვა.

მიიღეს აგრედვე 14 მოსაზრება ხარჯთ-აღრიცხვის კომისიისა.

გოლოლობოვმა მოხსენება წაიკითხა ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯთ-აღრიცხვის თაობაზე. უწყების ხარჯი ნავარაუდევია 73,414,477 მანეთად, კომისიას მხოლოდ 150 ათასი დაუკლია ამ ფულისათვის. მომხსენებელმა აღნიშნა: ბევრგან საკუთარ შენობებს ააგებს ფოსტა-ტელეგრაფის უწყება, შეეცდება წერილების გაგზავნა გააიაფოს და ფოსტი-ტელეგრაფის უფროსებს ჯამაგირი მოუმატოსო. შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, უწყებამ ციმბირისაკენ და ციმბირიდან საზღვარ-გარედ გასაგზავნი დეპეშები უნდა გააიაფოსო.

ჩერნოსვიტოვმა ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოღვაწეობა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა და კადეტების სახელით შეიტანა ფორმულა, რომელშიაც აღნიშნულია მცხოვრებთა საკულტურო მოთხოვნილებებს წინანდებურად არ აქცევენ ყურადღებასაო.

სოლტუზმა მოითხოვა, სახაზინო კორესპონდენცია უფრო ძლიერად უნდა უზრუნველყოთო.

ბელოუსოვმა მოითხოვა ციმბირში ფოსტა-ტელეგრაფის მეტად გავრცელება.

კუზნეცოვმა აღნიშნა, ერთი წერილიც ვერ მიგვიღია სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის წევრებს გაუხსნელიო.

ანტონოვმა ბევრი ილაპარაკა და აღნიშნა: ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ნაკლებად ზრუნავს სათათბიროს სურვილის განხორციელებისათვისაო.

როდიჩევმა მოითხოვა: სათათბიროს ერთხელ გამოთქმული სურვილი ხელმეორედ დაადასტუროს და ფოსტა-ტელეგრაფში მოსამსახურე ქალებს ნება მისცენ მისთხოვდნენ არა მარტო ფოსტა-ტელეგრაფისავე მოხელეებსაო.

ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს **უფროსმა** ამ ფორმულის უარყოფა მოითხოვა. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების ერთმანეთში ქორწინება მით არის კარგი, რომ ქმარს ყოველთვის შეუძლიან ცოლის მაგივრად იმუშაოს მის ავადმყოფობის დროსაო.

კენჭი უყარეს და ფორმულა მიიღეს. დანარჩენი ნაწილი სმეტისა უკამათოდ მიიღეს.

სათათბიროს რამდენიმე ფორმულა მიიღო, სხვათა შორის **ტიმოშკინის** ფორმულა ამიერ-კავკასიაში საბეითლო საქმის გაუმჯობესებისა.

მიიღეს აგრედვე **ჩერნოსვიტოვის** მიერ შეტანილი ფორმულა კადეტებისა.

უკამათოდ მიიღეს **კოვალენკოს პირველის** წინადადებით ფინანსთა სამინისტროს კანცელიარიის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც 478,802 მან. უდრის.

სახელმწიფო საბჭო

დეპეშები.

აკიმოვი თავმჯდომარეობდა.

განაგრძეს პირველ-დაწყებით სკოლის თაობაზე.

კამათი გამოიწვია ოცდა-მეცამეტე მუხლმა, რომელიც მოითხოვს, პირველ-დაწყებით სკოლებში მასწავლებლობის ნება აქვთ მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომ მართლმადიდებლებსაო.

ფონ-კაუფმანმა უმცირესობის სახელით შესწორება შეიტანა: საზოგადოდ ქრისტიანებს მიეცეთ ნება მასწავლებლობისაო. შესწორებას მიემხრო სტახოვიჩი, რომელმაც აღნიშნა: ასეთი შეზღუდვა არსებულ კანონშიაც არ ყოფილაო.

შესწორების წინააღმდეგნი იყვნენ **მომხსენებელი ზვერევი, დეკანოზი ბუტკევიჩი, ბელიკოვი, სი„ნოდის ობერ-პროკურორი,** რომელმაც აღნიშნა, კომისია სიმართლითა სწყვეტს საკითხსაო.

კაუფმანის შესწორება უარჰყვეს და ოცდა მეცამეტე მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს. შემდეგ მიიღეს 34, 35 და 36 მუხლი, კომისიისავე რედაქციით.

ყველა შესწორებანი უარჰყვეს.

ოცდა მეჩვიდმეტე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, ვის არა აქვს ნება მასწავლებლობისა, იკსკულისა და მანუხინის უმნიშვნელო შესწორებით მიიღეს.

შეორმოცე მუხლი ინსპექტორებსა და სასწავლებელთა გამგეებს ნებას აძლევს დროებით დაითხოვონ მასწავლებელნი. ოლსუფიევმა და ენგელ ჰარდტმა შესწორება შეიტანეს და მიაღებინეს კიდეც, რომელიც დათხოვნისათვის საპატიო მიზეზს მოითხოვს.

ორმოცდა მეცხრე მუხლი დირექტორებს სასწავლებლის საბჭოთა დადგენილების პროტესტისა და შეჩერების უფლებას აძლევს.

ზინოვიევმა მე-3 და ვასილიევმა მოითხოვეს და საბჭოც დასთანხმდა 61 ხმით 48 წინააღმდეგ, ამ მუხლის მაგივრად სათათბიროს მუხლი აღადგინეს.

ორმოცდა მეცამეტე მუხლი, რომელიც პირველ დაწყებით სკოლების ინსპექტორის მოვალეობას განსაზღვრავს, მიიღეს კომისიის რედაქციით, მხოლოდ იზვოლსკის შენიშვნაც დაურთეს: თუ ქალაქში ბევრი ინსპექტორია, მხოლოდ ერთს მა თგანს უნდა ჰქონდეს უფლება პროტესტისაო.

შემდეგი სხდომა მოხდება 11 აპრილს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **მამულის შეწირვა.** თავ. დ. ი. ერისთავმა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში განცხადება შეიტანა, რომლითაც იგი თავის მამულს (სოფ. რეხაშია, შეიცავს 5,000 დესეტინას) ამ საზოგადოებას სწირავს საცდელ მინდვრის მოსაწყობად.

✦ **თავად-აზნაურთა ქარვასლის კანტორის გაქურდვა.** 8 აპრილს, ღამით, ვიღაც უცნობებმა გაჰქურდეს ხსენებულ ქარვასლის კანტორა, რომელიც შიგ ქარვასლაშია (სასახლის ქუჩაზე) მოთავსებული. ბოროტმოქმედება აღმოჩენილ იქმნა 9 აპრილსა დილით. დაუყოვნებლივ გამოუძახეს კანტორის გამგეს ბ. მამრაძეს, პოლიციასაც, მაგრამ ქურდების კვალს ვერ მიაგნეს. სტოლის უჯრები ღია აღმოჩნდა, საიდანაც წაუღიათ 2005 მან.

✦ **მაზრის უფროსნი:** თიანეთისა პოდპოლკოვნიკი ალდატოვი და სიღნაღისა—კაპიტანი ტრონოვი ერთი მეორის ადგილას გადაიყვანეს.

✦ **მიხეილის საავადმყოფოს შტატის** კანონი გამოქვეყნებულ იქმნა ამ კანონით შტატში 170 კაცი უნდა იყოს და ჯამაგირად მიეცეს—65,488 მან. ეს ხარჯი ამიერ-კავკასიის საერობო თანხით უნდა დაიფაროს.

✦ ტფილისის მეორე საპოლიციო უბანში (მამადავითში), მცხოვრებელთ ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რათა პრიუტის ქუჩაზე **აღმართი დაბადბლონ,** ამ სახით ეტლების მიმოსვლა გაადვილონ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ცეცხლის დროს მაგალითად, ცეცხლის მქრობელი რაზმი ამ უბანში ეტლებს ვერ მიუყენებს ხოლმეო.

✦ როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ ბ-ნ **კოტე ყიფიანს** დაუსრულებია დიდი შრომა, რომელზედაც 12 წელიწადი მუშაობს, „**რუსულ - ქართული აკადემიური** ლექსიკონი“. ლექსიკონში მოთავსებულია 48 ათასი რუსული სიტყვა და 230 ათასი ქართული. ბ-ნი ყიფიანი ამ შრომას გაუგზავნის პროფ. ალ. ხახანაშვილს, რომელიც შეჰპირებია, ამ შრომას სამეცნიერო აკადემიას დავაბეჭდინებო.

✦ **სიღნაღ-ბაქოს რკინის გზა.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: ფედოროვმა, ზაგიანოსოვმა და თ-დმა თუმანიშვილმა შუამდგომლობა აღძრეს, ნება მოგვეცით სიღნაღ-ბაქოს რკინის გზის გაყვანისათვის სააქციონერო საზოგადოება შევადგინოთო. გზა სიგრძით 426 ვერ. იქნება და 32 მილიონად დაჯდება.

✦ **რედაქციამ მიიღო** ახალი საგულისხმო წიგნი ქართულად გამოცემული, შედგენილი ბერლინის უნივერს. მედიც. დოქტ. **გ. გ. მეგრაბიანცის** მიერ: **„ჭლექი და ყველასთვის ხელ-მისაწვდენი ღონის ძიებანი მის წინააღმდეგ საბრძოლველად“,** გ. ყიფშიძის რედაქციით. წიგნი მშვენივრად არის შედგენილი, ჩინებულის ენით ნათარგმნი და საუცხოო ქაღალდზე დაბეჭდილი, შეიცავს სულ 48 გვერდს დიდის ზომისას და ღირს ექვს შაურად. სიამოვნებით ვეგებებით ამ სასარგებლო წიგნის გამოსვლას, მით უმეტეს რომ ჩვენში დღითი-დღე ფეხს იკიდებს ადამიანის ჯანმრთელობის დაუძინებელი და უსაშინელესი სენი—ჭლექი—და მასთან საბრძოლველად რიგიანი დარიგების მიმცემი რამ წიგნი კი დღევანდლამდე არ მოგვეპოებოდა. წიგნი თავისის საფასით გამოუცია სასინოდო კანტორის წევრს არქიმანდრიტს პიროსს (ოქროპირიძეს).

✦ ბ-ნი ქუთათელაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ სააბრეშუმო სადგურზე **აბრეშუმის თესლი** მთლად გამოილია, რის გამოც მეაბრეშუმეებსა სთხოვენ, რომ თესლს ნუღარ იბარებენ აქედან.

✦ **თელავის მევენახეთა კრებაზე,** რომელიც 22 აპრილს მოხდება, მოწვეულ არიან დასავლეთ საქართველოდან ცნობილი მევენახენი ი. გუნცაძე, გ. ჩივაძე, ფრანგი ტიები, ანანოვი და სხვანი.

✦ **ხორცის და პურის ახალი ნიხრი,** რომელიც ქალაქის საბჭომ შეიმუშავა, გუშინ ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს დასამტკიცებლად გაუგზავნა.

✦ **დეპუტაცია,** რომელიც ქალაქის საბჭომ აირჩია, კავკასიის ნამესტნიკს წარუდგება ხვალ, 12 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე.

✦ **საქართველოს ექსარხოსმა** სამღვდელოების წარმომადგენლად ქალაქის საბჭოში კვლავ დეკანოზი მიხაილოვსკი დანიშნა.

✦ **რედაქციამ მიიღო** ახალი დ. **უზნაძის „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი“.** წიგნი საშუალო ზომისაა, შეიცავს 202 გვ., სუფთადაა გამოცემული და თხუთმეტ შაურად ღირს. ამ საგულისხმო წიგნის თაობაზე ცალკე წერილი გვექნება.

✦ 9 აპრილს ტფილისში 22 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **მეფუტკრეობის საზოგადოების** უკანასკნელ კრებაზე თავმჯდომარედ აირჩიეს თავ. პ. მ. ლორთქიფანიძე, მის ამხანაგად ა. პ. სოლოვიოვი, მდივნად. კ. ა. გორბაჩევი, ხაზინადრად. ა. ე. დიუმა. საბჭოს წევრებად აირჩიეს: პ. გ. ივანოვი, კ. ი. თულაევი და გ. გ. სუნდუკიანცი.

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ** თავის უკანასკნელ კრებაზე მსჯელობა იქონია სახელოსნო სკოლისა და შიოკვის სასწავლებლის შენობის თაობაზე და სასურველად იცნო, რომ ამ სასწავლებლების შენობა აგებულ იქმნას იმ ადგილზე, სადაც ახლა არის ქალაქის სახელოსნო სასწავლებელი, მხოლოდ კი ამ ადგილის გასაფართოვებლად გვერდით მდებარე მიწა უნდა იქმნეს შეძენილი.

✦ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის** კრება დღეს მოხდება ხორცის ვაჭრობის მოწესრიგების თაობაზე.

✦ **ტფ. საბირჟო კომიტეტს** დღეს კრება ექნება რამდენსამე საყურადღებო საკითხის განსახილველად.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 9 აპრილს მოხდა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. განხილულ იქმნა საკითხი ქალაქის ბეითალ-ექიმის შეინ-ფომელისთვის დამატებით პენსიის დანიშვნის შესახებ. დღემდე წელიწადში 300 მანეთი ეძლეოდა. საბჭომ 300 მან. 600 მანეთად გაუხადა.

სასამართლო

✦ **ცრუ დაბეზღება.** ტფ. ოლქის სასამართლოს სესიამ 5 აპრილს გორში საინტერესო საქმე გაარჩია. სამართალში მიცემული იყვნენ გორის მაზრის ჯავის სასოფლო საზოგადოების მწერლად ნამყოფი ნ. ბ. სანაკოევი და ამავ საზოგადოების 19 გლეხი. ბრალად ედებოდათ სტუდენტის ვ. ზ. ჯიოშვილის ცრუ დაბეზღება. საქმე ასე ყოფილა: სანაკოევს დაუწერია განცხადება, სტუდენტი ჯიოშვილი სარევოლიუციო მოძრაობაში მონაწილეობას იღებდაო, ხელი მოუწერინებია 19 გლეხისთვის და განცხადება უფლებამოსილ სამმართველოში გადაგზავნილ გამორკვეულა ბოლოს, რომ სანაკოევს სტუდენტი ტყუილად დაუბეზღებია, ზოგს გლეხს არც კი სცოდნია, თუ რა ქაღალდზე მოუწერია ხელი. ამის გამო სანაკოევი და 19 გლეხი სამართალში მისცეს. სასამართლომ სანაკოევს ღირსების აყრა და ერთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა, ხოლო 9 გლეხს—2—3 თვის ციხე. დანარჩენები გაამართლა.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** ახალციხეს გაემგზავრა სიხლის სამართლის საქმეთა განსახილველად.

სოფლელთა ცხოვრება.

✦ ტფილისის **საზოგადო საკრებულოს** მამასახლისთა საბჭოს განუზრახავს საკუთარ შენობის აგება. მიწის სასყიდლად საბჭოს 160,000 მანეთი გადაუდვია. კლუბის შენობაში სხვათა შორის მოთავსებული იქნება თეატრი, რომელიც შეიცავს 800 ალაგს და რომელშიც გაიმართება სომხური წარმოდგენები, საკუთარ თეატრის აშენებამდე.

ქ. ნოვოროსიისკში, მარტის 26-ს, ადგილობრივ სომხობას გადაუხდია პანაშვიდი განსვენებულ **გ. სუნდუკიანის** სულის მოსახსენებლად.

სომხურ გაზეთებს ატყობინებენ **ეჩმიაძინიდან:** აპრილის 7-ს, სომეთა ხარებობის დღეს, ტაძარში, პირველად მოუხსენებიათ ახლად დამტკიცებულ გევორქ მეხუთე კათოლიკოსის სახელი. შემდეგ აუხდიათ შავი საბური ტრაპეზე მდებარე, რომელიც ძევს ტრაპეზე კათოლიკოსის სიკვდილის დღიდან. წირვის შემდეგ, პარაკლისის დროს, მწირველ არქიეპისკოპოსს გადაუცია კათოლიკოსისათვის საკათოლიკოსო ჯვარი და ყავარჯენი, რომლის შემდეგ კათოლიკოსი ახალ ბინაზე გალობით მიუცილებიათ.

ნერსესიან სემინარიის მასწავლებელმა მ. მატენჯიანმა აპრილის 8-ს, სახალხო სახლში წაიკითხა ლექცია: „ვინ არის კავკასიის სომეხთა უდიდესი მგოსანი“. ლექტორის აზრით უდიდესი მგოსანი ყოფილა გაბარქათიბა, რომლის ლექსებს უფრო დიდი ხელოვნება ეტყობა.

ბათუმი

✦ კვირას, 8 აპრილს მოხდა **ბათომის საურთიერთო ნდობის საზოგადოების კრება.** განიხილეს წარსულ წლის ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ შარშანდელ საზოგადოების აპერაციი უდრიდა 11 მილიონ

„გამდიდრდით!“

ჩვენ ღარიბნი ვართ, რადგანაც სულელნი ვართ და სულელნი ვართ, რადგანაც რომ ღარიბნი ვართ.

დ. ი. პისარევი.

მოგვითხრობენ, რომ როცა 1864 წ. პოლონეთს პოლიტიკური იმედები გაუცრუვდა, ერთი პოლონელი შეეკითხა საფრანგეთის ცნობილ მოღვაწეს ტიერს—რა უნდა გააკეთონ პოლონელებმა, რომ ახლად ამოტივტივონ ცხოვრების სარბიელზე? ტიერმა ვითომდა უპასუხა: „Enrichissez vous“! (გამდიდრდით). „პოლონელებმა ეს პასუხი“—გვიამბობს თავის საინტერესო წიგნში პროფ. ლ. ბერნგარდი,—„გაიხადეს მომხიბლავ სიტყვად, რომელმაც გამოიწვია პოლონეთში ეხლანდელი ძლიერი ეკონომიური მოძრაობა“*). მართლადაც დღევანდელი პოლონეთი,—რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის ნაწილები, იშვიათ სურათს წარმოადგენს. მთელი ქვეყანა მოფენილია სუყველა ჯურის კოოპერატივებით, საკოოპერაციო საურთი-ერთოდ და სამრეწველო ბანკებით, მელიორატული ამხანაგობებით, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებით და სხვა.

რუსეთის პოლონეთი სუყველაზე ღარიბად ითვლება, რადგანაც სხვა და სხვა პოლიტიკური პირობები სისტემატიურად ორგანიზაციებს წინ ეღობებოდა.

მაგრამ დახედეთ ამ „ღარიბობას“!

ვარშავის ცენტრალურ სახალხო ბანკის უკანასკნელი ანგარიში გვიჩვენებს, რომ 1911 წ. ამ ბანკში წევრებად ითვლებოდნენ:

234 წვრილი კრედიტის ამხანაგობა, 72 საურთიერთო კრედიტის ბანკი, 17 სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, 23 მომხმარებელი და სხვა ამხანაგობანი და 4 მრეწველების კასა და სხვა...

საწარმოვო თანხა ერთი წლის განმავლობაში აღემატა 170 მილიონს. წევრების მიერ შესანახად შეტანილი ფული უდრიდა 5 მილიონს.**)

გადახედეთ ეხლა პოზნანს. (პრუსიის პოლონეთი) თვალწინ დიდებული სანახავი გეშლებათ:***)

130 კოოპერატიული სასოფლო ბანკი თითო არა ნაკლებ ერთ მილიონ საწარმოვო თანხით, 14 იმავე ჯურის ბანკი 2 მილ. საწარმოვო თანხით. 12 ბანკი (პატარა ქალაქებში) 2-3 მილიონამ. სათავეში სდგას ცენტრალური კოოპერატიული ბანკი პოზნანში! პოლონეთის ამ პროვინციაში თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთს მივარდნილ სოფელს, რომელსაც ერთი ნაბიჯის გადადგმაზე რომელიმე ზემოხსენებული ბანკი პატრონობას არ უწევდეს... ავსტრიის პოლონეთში საკოოპერაციო საკრედიტო დაწესებულებებში წევრებად ითვლება 500,000 გლეხობა. აქაც საკრედიტო კოოპერატივების სათავეში უდგა ცენტრალურ საკოოპერაციო ბანკი ლვოვში. ****)

აქაც პოლონეთის გლეხმა ამოჰყო თავი ზედა პირზე, თავისუფლად ამოისუნთქა, მედგრად იბრძვის არსებობისათვის და შეაქვს თავისი, კიდეც განათლებული წვლილი საერო სალაროში.

პოლონეთი, მეტადრე პრუსიის ნაწილი, გამსჭვალული თავად-აზნაურულ ტრადიციებით და მიმართულებით, ცნობილი თავის დაჩაგრულ გლეხობით, ამ ათიოდე წლის განმავლობაში დემოკრატიულ ქვეყნად გადაიქცა... ეს იყო იმის შედეგი, რომ პოლონეთის აღორძინების მოძრაობას საფუძვლად ედო მწყობრად მოწყობილი ეკონომიური სისტემა ფართო საკოოპერაციო-საკრედიტო ორგანიზაციებისა.

მესამოციან წლების ლოზუნგი „გამდიდრდითო“ 50 წლის შემდეგ პოლონეთის ერმა საუცხოოდ განახორციელა საქმით და იგრძნო კიდეც მძლავრი ნაყოფიერი შედეგები.

ეხლანდელი პოლონელი წელში გასწორებული, თავ-აღებული, ამაყად მღერის თავის გმირულ სიმღერას.

„ჯერ პოლონეთი არ დაღუპულა“...

* * *

გადავავლოთ ეხლა თვალი ჩვენ სამშობლოს. „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“! ასე იმედიანად მიმართავს თავის ქვეყანას ქართველი მგოსანი. ქართველ ხალხის თვისება ყოფილა და არის იმედებით ცხოვრება. მართალია ამ იმედებს თავის სიმძლავრეც აჩნდა, რომ მე-XX საუკუნის კარებამდის ქართველმა ხალხმა მიახწია, როგორც ერმა, თავის ენის, კულტურულ შინაარსით... მაგრამ იმავე იმედებს სუსტი მხარე გამოუჩნდა ეხლა, როცა დრო და გარემოება დაჟინებით თხოულობს უფრო ფართო და მძლავრ შინაარსს ერის ცხოვრებაში. თხოულობს, რომ ეგ იმედები დამყარებული იყოს არა მარტო ეროვნულ კულტურულ, არამედ ძლიერ ეკონომიურ საფუძველზედაც. ამ მხრით კი ჩვენი ქვეყანა ძალიან სუსტია.

რა იარაღით დაუხვდა საქართველო მე-XX საუკუნის დასაწყისს?

უპირველესად ყოვლისა უნდა ვაღიაროთ, რომ ეკონომიურ ძლიერ ფაქტორებთა შორის, საზოგადოდ, უმთავრესი ალაგი უჭირავს მწყობრ საკრედიტო სისტემას.

სწორედ მოწყობილი და ფართო მასისთვის მისაწვდომი კრედიტი არის უპირველესი და მძლავრი ფაქტორი საზოგადოების წინსვლისა... და აი მარტო ამ თვალსაზრისით, გაკვრით, მინდა შევეხო ჩვენში მყოფ საკრედიტო დაწესებულებებს.

საქართველოში, ქართველების მეოხებით სამი ტიპის კრედიტი არსებობს.

თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო (იპოთეკური) ბანკები, საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებანი და წვრილი კრედიტის ამხანაგობები სოფლად. ძველად ძველი საადგილ-მამულო ბანკები, როგორც ფართო საკრედიტო ორგანიზაციები, არავითარ კრიტიკას არ უდგება. ერთის მხრით მაგათ საადგილ-მამულო კრედიტის მიმართულებას ვიწრო წოდებრივი ხასიათი ადევს, ე. ი. ბანკების საკრედიტო თანხები თავადაზნაურთა შორის ხელიდამ ხელში გადადის. ტფილისის საადგილ-მამულო ბანკში 1 იანვრამდის 1903 წ. დაგირავებული იყო თავად-აზნაურთა მიწა 140.753.23 დესეტინა, რომელზედაც გაცემული სესხი უდრიდა 2.529.628 მ. 82 კაპ.*) მეორეს მხრით კი ხანია იმ ოპტიმისტურ აზრს, ვითომდა იპოთეკურ ბანკებიდამ გატანილი ფულები სამეურნეო აღორძინებას უწყობენ ხელს, საფუძველი გამოეცალა. ცნობილმა ეკონომისტმა როდბერტუსმა დიდი ზიანი მიაყენა ამ „ღრმა რწმენას“ და დაუმტკიცა გერმანიას სტატისტიკური საბუთებით „რომ იპოთეკურ ბანკებიდან გატანილი ფული არამც თუ მეურნეობის განვითარებაზე არ იხარჯება, არამედ მიწას ტვირთ ვალად ედება და უფრო სჩაგრავს მეურნეობას“ *). როდბერტუსის აზრს ბევრი ეკონომისტი გერმანიაში (რუსეთში მ. ი. გერცენშტეინი). დაეთანხმა, და ეხლა ეს შეხედულება გამეფებულია. „რუსეთშიაც“ ამბობს ზ. ს. კაცენელენბაუმი „საკრედიტო მოღვაწეებს ძალიან ცოტა აინტერესებთ საით მიდის იპოთეკის ბანკების თანხა და რა მიზანს ემსახურება“.—„იპოთეკურ ბანკებისათვის“ კი—დასძენს იგი—„ბევრჯელ სასურველ მოვლენას შეადგენს შესატან ფულის ვალის გატარება, მაშინ ბანკი მოგებას ჯარიმებით ივსებს. უკანასკნელი მოვლენა, კი იმას ნიშნავს, რომ მეურნეობა კლიენტებისა დაცემისაკენ მიექანება“. **)

მოყვანილი საბუთები საკმარისია იმის დასასკვნელად, რომ, საკრედიტო პოლიტიკა იპოთეკურ ბანკებისა მიზანს ვერ აღწევს და ბევრჯელ სჩაგრავს თავის კლიენტურას. მართლაც, ქართულ იპოთეკურ ბანკების საკრედიტო მოღვაწეობა ნათლად ამტკიცებენ ზემოხსენებულ დასკვნას... აქაც ჩვენმა საადგილმამულო ბანკებმა არავითარი სარგებლობა არ მოუტანეს მეურნეობას... ამ ბანკებიდან გატანილი ფული ასიდამ 99 შემთხვევაში, პირახდილად რომა ვსთქვათ, „შეეჭმულია“.. ყველას კარგად ახსოვს ამ ორ, სამი წლის წინად რა ღრიანცელი ასტეხეს ბანკის კლიენტებმა., „გვიშველეთ! ვიღუპებით, მამულები გვეყიდება ვალებისაგან!“

მეორე ჯურის ბანკები-საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებანიც ვერ აღწევენ თავის მიზანს. მოკლევადიანი სესხი, დიდი %, წესდების ზოგიერთი მუხლები, არ აძლევენ საშუალებას ფართო მასსებს ისარგებლონ საურთიერთო ბანკების კრედიტით. ვინ სარგებლობს ამ ბანკებით? საურთიერთო კრედიტის წესდებას ჰქონდა მხედველობაში: მოქალაქე ვაჭარი, ხელოსანი, მკვიდრი მემამულე და სხვა ამ გვარი ხალხი, რომელსაც იხსენიებენ „საშუალო წოდებად“.. მაგრამ, როგორც მკითხველებს მოეხსენება „საშუალო წოდება“ საქართველოში ეხლა იჩეკება და გასაკვირველიც არ არის, რომ ეს ბანკები ქალაქის ინტელიგენციამ გაატყავა და მათი პორთფელები უნუგეშო თამასუქებით გაავსო. დამერწმუნებით — ამისთანა უცხო კრედიტის მიმართულება დიდ ნაყოფს ვერ გამოიტანს და საკრედიტო სისტემას ვერ შეადგენს.

რაც შეეხება წვრილ კრედიტის ამხანაგობებს, საერთოდ, საკრედიტო საქმე ამ სოფლის დაწესებულებში სწორ გზას ადგია და მომავალიცა აქვს. სხვა დროს მათ საკითხს ვრცლად შევეხები. ეხლა კი მინდა აქაც მიუთითო ნაცნობ გარემოებას.. აქაც ჩვენს საკრედიტო მოღვაწეებს არა აქვთ ნათლად გამორკვეული, რა უფრო ესაჭიროება და მოუხდება ჩვენს გარემოებას. თავისუფალი შენახველ-გამსესხებელი ამხანაგობები საკუთარი თანხით, თუ მარტო სახელმწიფოს დახმარები, წვრილი კრედიტის ამხანაგობები.

ზემოხსენებული საბუთები გვაძლევენ ნებას სრულიად უარვყოთ არსებობა საქართველოში არამც თუ საერთო გონივრულ კრედიტის მიმართულებისა, არამედ გამოკვლეულ აზრისაც.

ამ არაარაობის შედეგი ნათლად სჩანს. ბუნებით მდიდარ ქვეყნის მეურნეობა, მრეწველობა, ხელობა გარინდებულია. ხალხი-კი სიღარიბეშია დ. ი. პისარევის ნათქვამი სამწუხაროდ ჩვენზედაც გამოჭრილია...

პოლონეთის სიმდიდრემდის ხომ კი მანძილია!

დავით კახელი.

*) ლიუდვიგ ბერნგარდი „ბრძოლა არსებობისათვის პოლონელებისა პრუსიასთან“, გვ. 66, ნაწ. II.

**) Отчетъ банка кооперативныхъ товариществъ въ Варшавѣ за 1911 годъ (второй годъ дѣятельности) გვ. 8, 10.

***) ლ. ბერნგარდი—დამატება, გვგმა პოზნანის ბანკებისა.

****) Труды Всероссійскаго кооперативнаго съѣзда въ Москвѣ 16 апрѣля 1908 г. Докладъ С. Ф. Войцеховскаго. გვ. 219.

*) Ф. Г. Гогичайшвили сборникъ статистическихъ свѣдѣній о частномъ землевладѣніи въ тифл. и Кутайс. губерніяхъ გვ. 520.

*) З. С. Каценеленбаумъ. Меліораціи, меліоротив товарищ. и меліор. кредитъ въ Россіи გვ. 316.

**) იქვე—გვ. 312.

მანეთამდე, წმინდა მოგება დარჩენია 2600 მანეთი, რომლიდანაც 2000 მანეთი გადაიდო სათადარიგო თანხად, 600 მანეთი მიეცა ქართულ ეკლესიის საალმშენებლო გამგე კომიტეტს. კრებამ, სხვათა შორის, დადგინა: 1) მიემატოს ჯამაგირები ბანკში მოსამსახურეთ და გამგეობის წევრებს დირექტორებს—ოთხას-ოთხასი მან. დირექტორ დეკანოზიშვილს ამ წლიდან ექნება სულ 2200 მანეთი, თავმჯდომარეს მდივანს—28000 მან. ბუჰგალტერს გოგოლაძეს—1500 მან. 2) დაენიშნოს ჯამაგარი საბჭოს და მიმღებ კომიტეტის წევრებს სულ 700 მანეთი. 3) აირჩეს მესამე დირექტორად ქიათურის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორი ნ. ჯაველი და ჯამაგირად დაენიშნოს 1800 მანეთი.

ლენინ-როსტოვი.

✦ პირველ აპრილს ღილის 4 საათზე კაფე-შანტან „ბუფში“ რევოლვერით **თავი მოიკლა** ნაფიც ვექილის თანაშემწემ ვურვიჩმა. რამ აიძულა ეს ახალგაზდა ადამიანი უდროოდ მოესპო თვისი სიცოცხლე, არ იციან.

✦ ოთხ აპრილს საღამოთი „ასტრახნის ნომრებში“ ნიშადურით **თავი მოიწამლა**, ალექსანდრე კალანდარიშვილმა. მოწამლული მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს და დროზე მიღებულ ზომების წყალობით სიკვდილს გადაარჩინეს. მიზეზი გამოურკვეველია.

✦ 5 აპრილს გაიხსნა **საჭლექო გამოფენა** რომელიც მოაწყო ადგილობრივ ჭლექთან მებრძოლმა საზოგადოებამ. გამოფენა საგულისხმოა. ანგარიშს ამ დღეებში დავბეჭდავთ ჩვენს გაზეთში.

მაჰმადიანთა ცხოვრება.

✦ ამ ჟამად ბაქოში იმყოფება ახალგაზრდა მაჰმადიანი ქალი შევქეთ-ხანუმ მაჰმედოვი. ძს მიღებული აქვს საფუძვლიანი სამუსიკო განათლება. იგი ტფილისშია დაბადებული. ჯერ ტფილისში მიუღია სამუსიკო სწავლა. შემდეგ გამგზავრებულა იტალიაში, მაგრამ იქ სწავლა ვერ დაუმთავრებია უსახსრობის გამო, ბაქოს მაჰმადიანთა განმანათლებელ საზოგადოებას „ნიჯაფს“ გადუწყვეტია დაეხმაროს ქ. მაჰმედოვს და 13 აპრილს თადიევის თეატრში ჰმართავს წარმოდგენას. მის სასარგებლოდ. ითამაშებენ ჰუსეინ-ბეკ ჰაჯინსკის „არ-არვად“ (ცოლ-ქმარი) ოპერას.

✦ როგორც თათრული გაზეთები გადმოგვცემენ, **პარიზში** ამ ჟამად მოქმედობს ერთი **კლუბი**, რომელიც ბაღდადელ მაჰმადიან ქალებს დაუარსებიათ.

✦ გაზ. „სადაი-ჰაკ“-ს **კავკავიდან** სწერენ, რომ იქაურ სპარსთა შორის პოლიციას ჩხრეკა გაუმართავს, თუმცა ამ ჩხრეკას უნაყოფოდ ჩაუვლია. ამავე ქალაქში მცხოვრებ თეირანის მაზ. „ჰაბულ - მათინ“-ის აგენტისთვის მთავრობას წინადადება შიუცია, რომ ამ გაზეთის გამოწერა მოსპოს.

✦ გაზ. „ვაქტი“ სწერს: პეტერბურგის „კრესტის“ ციხეში დაპატიმრებული, მაჰმადიანთა ცნობილი **ურნალისტი აიაზ ისხანოვი** მთავრობას არხანგელის გუბერნიაში გადუსახლებია.

✦ გამოვიდა ჰაიდ-ეფენდი ეჯიასის ახალი წიგნი **„ციმბირის ისტორია“** თათრულს ენაზე. წიგნი 70 კ. ღირს.

✦ ბაქოს ქალაქის უფროსს ნებართვა მიუცია კადირ ჰეიდაროვისათვის, ქ. ბაქოში გამოსცეს თათრულ ენის ადერბაიჯანის დიალექტზე ყოველდღიური გაზეთი „ხამარ“ (ამბავი).

✦ ქ. უფაში დაუარსებიათ **კურსები მაჰმადიან ქალებისათვის**. ასწავლიან საზოგადო განათლებას სიგნებს და რუსულ ენას.

დეპეშები

პეტერბურგი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქართველთა საკვისტომომ პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულ პოეტ გრიშა აბაშიძის საფლავზე. მთელი სათვისტომო დაესწრო. აპრილის 10 სდგამენ „სამშობლოს“, შემოსავალი გადაიდება განსვენებულის ნაშთის სამშობლოში გადმოსასვენებელ ფონდისათვის. ეს წარმოდგენა ყოველ წლიურ ბალის მაგიერ გაიმართება.

პეტერბურგი,

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

მუსიკის მოყვარეთა საზოგადოება 21 აპრილს ჰმართავს ქართულ სამუსიკო საღამოს.

სასიამოვნო მოვლენა.

(წერილი ქუთაისიდან).

ჩვენში ხშირად სამართლიანად მოსთქვავენ და გოდებენ ხოლმე ჩვენს შეუგნებლობაზე და ჩვენი საზოგადოების გადაგვარებაზე. მაგრამ ცარიელი წუწუნით და ვაი ვიშით არაფერი გამოვა და ვერც ვერაფერს გავაკეთებთ. საქმის გამოსაკეთებლად და გამოსაბრუნებლად ყველგან და ყოველთვის მხნეობა და სიფხიზლეა საჭირო, დაუცხრომელი და მედგარი შრომაა სასარგებლო. ამისთვის მეტად სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ხალხის ამა თუ იმ წრისა და ნაწილის თვითცნობიერებისაკენ გადადგმული ყოველი ახალი ნაბიჯი. სწორედ ასეთი სიამოვნებით ვეგებებით ქ. ქუთაისში დაარსებულ ქალთა საზოგადოებას, რომელსაც ფართე კულტურული მიზნები აქვს დასახული, შესაფერი წესდება შეუმუშავებიათ, რომელიც სათანადო მთავრობას უკვე დაუმტკიცებია, საქმის თაოსანთ განზრახვა აქვთ ამ მოკლე დროში ფართე ხასიათის კრება გამართონ, როდესაც აირჩევენ გამგეობას და შეეცდებიან რაც შეიძლება მეტ წევრებს მოუყარონ თავი ამ სიმპატიურ დაწესებულებაში.

ვფიქრობთ, ყველა ჭკუათმყოფელი ადამიანი დაგვეთანხმება, რომ უაზრო ქარაფშუტულ ცხოვრებას, ქალაღლისა და ლოტოს თამაში და ლაზღანდარობაში დღე-ღამეების ტარებას სჯობია და უფრო გონიერია ადამიანი თავისი ერის წარსულს გაეცნოს, აწმყო შეისწავლოს და მომავალი გაითვალისწინოს და მასზე იზრუნოს. ამისთვის ფრიად სასურველია ამ საქმეს ჩვენი ქალები თანაგრძნობით მოეკიდნენ. დარწმუნებული ბრძანდებოდენ ასეთ შრომასა და დროს გატარებაში ბოლოს და ბოლოს მეტ სიამოვნებას ვიპოვებენ.

ამბობენ, რომ ქალთა გათვითცნობიერება და შეგნება მთელი ხალხის წარმატების თავდებიაო, რადგანაც მათზეა დამოკიდებული მოზარდ თაობის, ამ მომავალ მოქალაქეთა, სასურველად აღზრდა და გაწვრთნა და მათ შეუძლიანთ „მომავალი მისცენ ხალხს“.

სულითა და გულით ვუსურვებთ ამ საზოგადოებას აყვავებას, ნაყოფიერ შრომას და წარმატებას, რომ ჩვეულებისამებრ არ გამეფებულიყვეს ჩვენი ხალხის თანდაყოლილი და ყოველი კეთილი განზრახვის სენი—პირადი კინკლაობა, მტრობა, შური და უთანხმობა. **ფარო.**

ხმა გათოდიდან

აქ კერძო ცნობები მოვიდა რომ იტალიას ბლოკადი დაუწყია დარდანელზე. ეს ცნობები მალე ოფიციალურადაც დამოწმდა. მოვიდა დეპეშა სამრეწველო-სავაჭროს წარმომადგენელის თავმჯდომარისაგან. აქაურ სავაჭრო-სამრეწველოს თავმჯდომარეს წარმომადგენელის ავდაკოვის სახელობაზე, რომელსაც სთხოვენ აცნობოს, თუ რა მდგომარეობაშია აქაური სავაჭრო-სამრეწველო საქმენი. ავდაკოვმა აცნობა შემდეგი; ორი დღის განმავლობაში შესამჩნევი ცვლილება არ-მომხდარა, თუმცა-კი ზოგიერთმა უცხოელმა გემთა საზოგადოებამ გაკარგულება მიიღეს, რათა დაბრკოლონ ბათუმში გემები, არ მიიღონ საჩქარო საქონელი—დაუწიონ ზღვისაგან დაზღვევის ფასს. ფრახტის ფასმა 10 ჭოკ. აიწია. ყველა ეს ძირს დასცემს ვაჭრობა-მრეწველობის საქმეს. მიღებულია ზომები—რათა თავიდან ავიცილოთ არა სასურველი მოვლენაო“.

ნავთ-სადგურის მმართველობამ აცნობა აქ შემოსულ ყველა გემებს, რომ დარდანელის სრუტე დახურულია მათთვის გასავლელად... ამ ჯერად მაინც და მაინც ბევრი გემი არ არის შემოსული ბათუმში სულ 5—6 უცხოეთის გემია გაჩერებული, ზოგი გემი ბათუმში მოსავალი დარდანელს იქით მოჰყოლია და იქ გაჩერებულა.

კვირას, 8 აპრილს ალექსანდროვას ბაღში სქელ ბუჩქებში აღმოაჩინეს დამხჩვალ კაცის გვამი, მას მაგარი გასანთლული კანაფი ება ყელზე და როგორცა სჩანდა მის მდებარეობიდან თვითონ დაუხჩვია თავი. ვინაობა ჯერ არ იციან—გვამი შუა ხნის ადამიანისა მუშათა წრეს უნდა ეკუთვნოდეს.

წინა დღეს, 7 აპრილს კიდევ მატარებლის ქვეშ ჩავარდა და თავი მოაკვლევინა აქაურმა მებულკე ხაჩატურა მაკედონსკიმ, რომელიც ცნობილი იყო აქ როგორც პატიოსანი და ჭკვიანი კაცი.

კვირას იგი დიდის საზოგადოების თანადასწრებით დაასაფლავეს. გულშემზარავ სურათს წარმოადგენდნენ მისი ცოლშვილის ღრიალი უფროსი შვილი 6 წლისა, ოთხი ერთი მეორეზე მომდევრო. ამბობენ სიღარიბემ და ვალებმა აიძულეს გამოსალმებოდა წუთი სოფელსაო!..

ტრ. ინასარიძე.

ლენის მუშათა გაფიცვა და დახოცვა

შეკითხვა სახელმწიფო სათათბიროში.

(დეპეშათა პეტერბ. საგენტო)

კადეტებსა, ოქტომბრისტებსა და სოციალ-დემოკრატებს სახელმწიფო სათათბიროში შეაქვთ შეკითხვა ლენის მაღაროებში მომხდარ ამბების გამო. კაამათი იმის შესახებ, თუ რამდენად სასწრაფოა შეკითხვა. **ნეკრასოვი**, კადეტი, ამტკიცებს, ლენის ამბებში მუშების მხარეს იყო არა მარტო სოციალური სამართლიანობა, ფორმალური სიმართლეცაო. როგორც ყველა გაზეთებში დაბეჭდილ დეპეშათა ჰეტერბურგის საგენტოს ცნობებიდანა სჩანს, ლენის ამხანაგობამ მუშებს დაუთმო და გადასწყვიტა ანგარიში გაუსწოროს, მხოლოდ არა ფულით, არამედ საქონელზე გაცემულ ტალონებით. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ მრეწველობის წესდების მე-99-ე მუხლი ყოველს წუთს ერღვევა. ერთმანეთს ედავება ორი მხარე. ერთი მეთგანი უფრო სუსტია. ამასთანავე კანონიც სუსტის მხარესაა. ეს გარემოება მთავრობას აიძულებს განსაკუთრებულის სიფრთხილით ჩაურიოს ხოლმე ეს მებრძოლ მხარეთა დავაში. იძახიან გაფიცვას სოციალისტური ხასიათი ჰქონდაო. სოციალისტური და სოციალური აზრი ყოველს გაფიცვასა აქვს. მიუხედავად აუტანელ პირობებისა, დასაწყისში გაფიცვა მშვიდობიანად მიმდინარეობდა; მხოლოდ ეხლა დაიწყეს ლაპარაკი რაღაც ძალადობაზე მუშების მხრით. გაფიცვას ხელმძღვანელ კომიტეტის დატუსაღებაც არავის შეეშალიან იმ დროდე, სანამ იგი ჰირდაპირ კანონს არ დაარღვევს; მიუხედავად ამისა კომიტეტის წევრები მაინც დატუსაღეს იმ მიზეზით, რომ გამომძიებელთან არ მივიდნენ, თუმცა არც ერთს მათგანს უწყება არ მიუღია. ეს დატუსაღება პროვოკაციაა. ბრამდებლის ამხანაგის, ჟანდარმთა როტმისტრისა და მოსამართლეს ტრიუმვირატის ტაქტიკამ მშვენიერ შედეგს მიაღწია; ვინც კი ამ ტაქტიკას დაადგა, ყველამ ქება დაიმსახურა. სანამ მართვა-გამგეობის ძირითადი საფუძველი არ შეიცვლება, ცხოვრების პირობებიც ძველი დარჩება, არაფერი გაუმჯობესდება. (ტაში მარცხნით).

გუჩკოვი აღნიშნავს 4 აპრილს ლენში მომხდარმა ამბებმა მთელი რუსეთის საზოგადოება ააღელვაო. გაფიცვა მშვიდობიანად მიმდინარეობდა. მუშების მიერ წარდგენილ მოთხოვნილებებიდაწა სჩენს, რა აუტანელ პირობებში ყოფილან მუშები. სოციალ-დემოკრატების აგიტაცია, კადეც რომ ყოფილიყო იგი, საქმის ვითარებას არა სცვლის. ადგილობრივ მოსულ ცნობებიდან არა სჩანს, რომ მუშებს რაიმე ძალა ეხმაროთ. მთავრობამ აუცილებლად უნდა გამოარკვიოს ყველაფერი. უნდა გამოარკვეს, რამდენად კანონიერად იქცევოდა ადგილობრივი ადმინისტრაცია. იგი, როგორც ეტყობა, სრულიად დაბნეულა და პირადს შიშს ისე ძალიან აუტაცია, რომ გონება დაუკარგავს. სათათბირო იმედოვნებს, რომ მთავრობა ყველაფერს მიუკერძავად გამოიკვლევს და დამნაშავებს კანონიერ პასუხისმგებლობას მოსთხოვს.

კუზნეცოვის აზრით, დიდი დანაშაული ამ უბედურებაში მიუძღვის თვით სათათბიროს, რომელიც ყოველთვის უარჰყოფდა პოლმე სოციალ-დემოკრატების მიერ შეტანილ შეკითხვებს მთავრობის უკანონო მოქმედების შესახებ. ლენის ამბები შედეგია იმ ზნეობრივ დახმარებისა, რომელსაც სათათბირო მთავრობას უწევდა. მუშების მდგომარეობა შეკითხვებითა და პეტიციებით არ შეიცვლება.

სკოროხოდოვი აღნიშნავს, რომ ხოცვა-ჟლეტა რუსეთში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. იგი შედგება ადმინისტრატიულ თვითნებობის თავ-აშვებულ თარეშისა. როგორც ციმბირის დეპუტატი, იგი აცნობს სათათბიროს, თუ რანაირ პირობებში უხდებათ მუშაობა ლენის ამხანაგობის მუშებს. მუშები სრულიად დამონებული ჰყავთ ლენის მწარმოებლებს; მთავრობის ყველა აგენტებს ლენის ამხანაგობა ინახავს. ტყუილადა ჰსურთ ლენის გაფიცვას თავზე პოლიტიკა მოახვიონ. მთავრობას არავითარი გასაართლებელი საბუთი არა აქვს. მან თვეზე მეტია იცოდა, რაც იქა ხდებოდა, მაგრამ არავითარი ზომები არ მიიღო.

დანაშავეა სათათბიროც, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ადგა პოლიტიკას: „რას გვიბრძანებთ, რა გნებავთ“? ლენის ამბები მესამე სათათბიროს მოღვაწეობის გულშემზარავი დასკვნაა.

ზამისლოვსკიმ შეკითხვის დებულებანი დაწვრილებით განიხილა და განაცხადა: მემარჯვენენი ყოყმანში არიან, შეუერთდნენ შეკითხვას თუ არა, რადგანაც დატუსაღება უკანონო გზით არ მომხდარაო. რომ არავინ დაეტუსაღებინათ და მომხდარიყო რამე, მაშინ იტყოდნენ: „როგორ შეიძლება? გაფიცვის კომიტეტი ხომ საზიზღარ პრბოს წარმოადგენს და მთავრობას კი არავინ დაუპატიმრებიაო“! ამ სიხით საითაც უნდა მიტრიალდეთ, ყველგან უკანონობას აღმოაჩენთ. თქვენ მხოლოდ საბაბს ეძებთ, რომ მთავრობას უკანონო მოქმედება დასწამოთ და ტალახში მოჰსვაროთ. მოლაპარაკის აზრით, სროლა არავითარ უკანონობას არ წარმოადგენს. სროლას ჟანდარმთა როტმისტრი კი არა ხელმძღვანელობდა, ეს საქმე სამხედრო მთავრობას მიენდოთ. რაზეის ოფიცერმა სამჯერ დაუკრა ნიშნის მიმცემი ღორღოტოტო და შემდეგ ესროლეს. იგი ასე რომ არ მოქცეულიყო, ბასუნის გგბაში მისცემდნენ. 150 ნაბიჯზე ბრბო გააფრთხილეს—ახლო-ნუ მოხვალთო. ბრბო მაინც წინ იწევდა. პირველად ეგრალა ოფიცერმა. ბრბო მაინც წინ იწევს. პირველ სროლის დროს ბრბო მიწაზე განერთხო და არც არაფერი დაჰშავებია. მერე კი წამოიშალნენ და ჯარისკენ მიიწიეს, მაშინ დაბერტყეს ესროლეს. ამ საქმეში არავითარი უკანონობა არ არის. უკანონობას სჩადიან ისინი, ვინც აქეზებს ათასგვარ ურიებს, გინზბურგებსა და ტიბირიაზევებს (მარჯვნივ ტაში).

აჯემოვი ზამისლოვსკის უპასუხებს; იგი დაწვრილებით ეხება ლენის ამხანაგობის მოღვაწეობას. ამ ამხანაგობას 75 წილი აქციებისა ინგლისელებს ეკუთვნის თურმე. სათათბირო უეჭველად შეიგნებს, რომ შეკითხვის შემდგენელთა განზრახვა უზადო და წმინდაა და მას მიემხრობა კიდეც. (მარცხნივ ტაში).

ეფრემოვის აზრით ეხლა გრძელ-გრძელი სიტყვები დრო არ არის: განგმირულთა გაციებულ სამარიდან უნდა გაისმას შემზარავი ხმა სიმართლისა და სინათლის მოფენისა. დაე, იუსტიციის მინისტრი შეეცადოს, რომ დამოუკიდებელმა და მოუდგომელმა მსჯავრმა მკირეოდენად მაინც შეამსუბუქოს საზოგადოებრივ სინიდისის ქენჯნა, რომელიც ლენში მომხდარ საშინელებამ შეაძრწუნა. (მარცხნივ ტაში).

ვოლოდიმიროვის აზრით ლენის წარმოებას სათავეში განათლებული მეზღვაურნი უდგანან, რომელნიც ისე ექცევიან ჩვენს მუშებს, როგორც ინდუსებს. ასეთ პირობებში მუშები აამოქმედა არა პოლიტიკურმა აზრმა, არამედ გამწარებულმა ხვედრმა.

მიაგკიმ განაცხადა: მთავრობა თავის დროზე არ გამოესარჩლა მუშებს, რომელნიც გაუმაძღარ კაპიტალისტებს მილიონის ქონებას უმზადებნენ.

ტიმოშკინის აზრით, ლენში მომხდარი ამბავი ყოველ მხრივ აღმაშფოთებელია, მაგრამ შეკითხვის სწრაფად განხილვა კი ნაადრევია, რადგანაც მხოლოდ გაზეთების ცნობები გვაქვს ხელთაო. მისის აზრით, გაფიცვას პოლიტიკური ელფერიც ჰქონია. ლენის გაფიცვა—ეს პირველი მერცხალია, რადგანაც სოციალ-დემოკრატები სამხრეთ ქარხნებში ძალიან თავგამოდებით საქმიანობენ და „ამხანაგებმა“ უკვე გააწყეს ისეთი უზარმაზარი გაფიცვა, რომელიც 1905 და 1906 წლის გაფიცვებს გადააჭარბებსო. მოლაპარაკე მომხრეა შეკითხვისა, ხოლო წინააღმდეგი სწრაფად განხილვისა.

პოლოვცოვი. ნაციონალისტები ფრიად ააღელვა ეგოდენ მუშათა დახოცვამ, მაგრამ მათის აზრით, საკმაოა მხოლოდ მთავრობას შეკითხვა მივცეთ ადგილობრივ, მთავრობის უმოქმედობის თაობაზე. მოლაპარაკე ბრალსა სდებს სამზრუნველოს ადმინისტრაციას და ამართლებს ჯარის მოქმედებასა, რადგანაც მუშები შეიარაღებულნი იყვნენ კეტებით, ქვებით, და იმუქრებოდნენო.

სალაპარაკოდ ჩაწერილთ ყველამ ილაპარაკეს. რადგანაც დარბაზში კანონიერი რიცხვი აღარ აღმოჩნდა, შეკითხვას კენჭს უყრიან ხვალის კრებაზე.

ლენის მაღაროებში მომხდარ ამბების გამო „რუსკოე სლოვო“-ს ირკუტსკიდან დეპეშით ატყობინებენ: „დღეს, 5 აპრილს, ირკუტსკის ნაფიც ვექილთა კონსულტაციამ მეორე დისტანციის მუშათაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: 4 აპრილს, ღამე, გაფიცვების ხელმძღვანელი კომიტეტი დაატუსაღეს. მუშები, თანახმად ისპრავნიკის რჩევისა, ბრამდებლისკენ გაემართნენ. გზაში შეხვდნენ საოლქო ინჟენერს ტულჩინსკის, რომელსაც სთხოვეს ბრალმდებლისთვის მოეხსენებინა. სწორედ ამ დროს, გაუფრთხილებლად ჯარმა სროლა ასტეხა. მოკლულია 150, დაჭრილია 250-ზე მეტი. დახოცილებმა თავიანთი გვამებით გადაარჩინეს ტულჩინსკიც. დაჭრილია საერგო დარაჯიც. ზოგიერთი მუშები უკან-უკან მოფოფხავდნენ, მაგრამ სალდათები იმათაც ესროდნენ. ამხანაგობას უნდათ საჩივარი წარუდგინონ, მაგრამ პოლიცია ნებას არ აძლევს. ატუსაღებენ ყველას, ვისაც კანონისა ცოტა რამ მაინც გაეგება. ანგარიშს არ ასწორებენ. ვთხოვთ დახმარებას. დახოცილთა ცოლშვილი თხოულობენ ნებე მისცენ დახოცილთა წინაშე უკანასკნელი ვალი მოიხადონ. **მეორე დისტანციის მუშები.**

იმავე გაზეთს პეტერბურგიდან ტელეფონით ატყობინებენ: დღეს დილით ლენის ოქროს მადანთა ამხანაგობის გამგეობამ მთავარ გამგისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც დაწვრილებითაა აწერილი მუშებსა და ჯარს შორის მომხდარი შეტაკება. მეორე გამგე იტყობინება, მუშების მოძრაობა ნაშუადღევის ორ საათზე დაიწყო. მუშები მოგროვდნენ, ჯერ საოლქო ინსპექტორ ტულჩინსკისთან მივიდნენ და გაფიცვის ხელმძღვანელნი განთავისუფლება მოითხოვდენ. ინსპექტორმა უარი უხარა.

ამის შემდეგ მუშები უმთავრეს კანტორისკენ გაემართნენ და ანგარიშის გასწორება მოითხოვეს. ადმინისტრაცია დახთანხმდა, მაგრამ სთქვა, ანგარიშს გავასწორებთ იმ განაჩენის მიხედვით, რომელიც მომრიგებელმა მოსამართლემ გამოიტანა. ამას გარდა, ადმინისტრაცია თხოულობდა, მუშებს მეორე დღემდე დაეცადათ. აქედან მუშები ხელ-მეორედ გაემართნენ საოლქო ინსპექტორთან ტ ხელმეორედ მოითხოვეს დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლება. მუშებმა მეორედაც უარი მიიღეს. მაშინ მუშები თეოდოსიის მაღაროებისკენ გაემართნენ. აქ მუშები საღამოს ექვს საათზე მოვიდნენ. მაღაროებში ჯარი სროლით დახვდა. პირველის ანგარიშით, მოკლულია 107, დაჭრილია 80. მთავარ გამგის დეპეშაში ნათქვამი არ არის, რად მივიდნენ მუშები თეოდოსიის მაღაროებში. ამხანაგობის გამგეობა ჰფიქრობს, მუშებს, ალბად, დატუსაღებულ ამხანაგების ძალით განთავისუფლება უნდოდათო.

ლენის ამხანაგობის გამგეობაში ამბობენ, მაღაროების ადმინისტრაციას არც მუშების დატუსაღებასა და არც დახოცვაში არავითარი ბრალი არ მიუძღვისო.

„რუსკოე სლოვოს“ ირკუტსკიდან დეპეშით ატყობინებენ, შელკუნოვის ნახშირის მაღაროებში ხუთასი მუშა გაიფიცა და ხელ-ფასის მომატება მოითხოვა. ადმინისტრაციამ ათი პროცენტი მიუმატა, და გაფიცვაც გათავდა.

მემარჯვენე „ვეჩერნეე ვრემიას“ კორესპონდენტი ამწარად გადმოგვცემს ლენის მაღაროებში მომხდარ ამბებს: „3 აპრილს თეოდოსიის მაღაროებში ახლად დაქირავებულმა მუშებმა დაიწყეს მუშაობა. მთელი დღე განუწყვეტლივ მუშაობდნენ. მხოლოდ მეორე დღეს, როდესაც გაფიცვის მეთაურთა ერთი ნაწილი დაატუსაღეს, მუშები საოლქო ინსპექტორისკენ გაემართნენ და დატუსაღებულთა განთავისუფლება მოითხოვეს. უარი რომ მიიღეს, მუშაობა კვლავ შეესწყდა. გუშინ, როდესაც მუშათა ერთმა ნაწილმა მუშაობა განაახლა, სამი ათასამდე კაცი მოვიდა და მოითხოვა, რომ მომუშავეებს მუშაობაზე ხელი უშლით. ჯარმა რამდენჯერმე გაფრთხილა მუშები, მაგრამ არ დაუჯერეს, და-უწყეს ქვების სროლა. მაშინ ჯარმაც სროლით უპასუხა“.

მოუფერილი ამბები

ხმა გარე-კახეთიდან. ამ რამდენიმე ხნის წინედ, ელვის სისწრაფით მოედო მთელ ტფილისისა და თელავის მაზრის ცნობილი ყაჩაღის ნიკა კასრაძის მოკვლის ამბავი. მოულოდნელად ელოდა გლეხობა ამ ამბავს, რადგან დიდი ტანჯვა გამოიარა კასრაძის მეოხებთან. უმთავრესი მიზეზი მთავრობის მამასახლისების დანიშვნისა საგარეჯოსა და პატარძეულის რაიონებში 1910 წ., ნ. კასრაძე იყო თავის ამხანაგებით. ყველაზე მეტი გაჭირკება საგარეჯოს რაიონმა გაოლიარა, ადვილი არ არის თვეში 300 მანეთის გადახდა მთავრობის მამასახლისისა და სტრაჟნიკების ჯამაგირებისთვის სხვა ხარჯების გარდა. მართალია ხსენებულ კასრაძის მოკვლამ ცოტა თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მისცა გლეხობას, მაგრამ ზოგიერთი სოფელი გარე-კახეთისა, ისევ სევდის ბურუსმა დაჰფარა—გაოჩნდნენ კიდევ სულით მახინჯები და სრულიად უდანაშაულო ხალხის სისხლის მღვრელნი.

12 თებერვალს მოჰკლეს ნინოწმინდაში ამავე სოფლის მამასახლისი ვანო ასრათაშვილი.

შარშან ღვინის მოსავალი ძალიან ნაკლები იყო ხაშმში, პური სულ არ მოსულა, სიმინდის მოსავალი რიგიანი იყო, რომლითაც აქამდის ოლად მიდიოდნენ, ამას იქით კი ისიც სასყიდელი გაუხდებათ.

ფრიდონი.

ირლანდიის ტრაგედია.

(ავტონომიის საკითხი).

ამას წინად დაიწყო მესამე მოქმედება დიდი საისტორიო ტრაგედიისა, რომელსაც სახელად „ირლანდიის ავტონომია“ ჰქვიან. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა პარლამენტში შეიტანა ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტი. ირლანდიის ავტონომიის საკითხი, მარტოდენ ირლანდიის საკითხი არ არის. ეს ინგლისის ლიბერალთა პარტიის ტრაგედიაა. ეს საკითხი მათი გოლგოთის ჯვარია.

პირველად ჯვარი ლიბერალებმა 1886 წ. იტვირთეს.

და ისეთმა დევმაც კი რანაირიც გლადსტონი იყო, ვერ შესძლო ამისთანა სიმძიმის ზიდვა, რეფორმის მოწინააღმდეგეთ გაიმარჯვეს და გლადსტონიც გადადგა.

გავიდა შვიდი წელიწადი. გლადსტონმა, ვით ნამდვილმა გმირმა და გამჭრიახმა სახელმწიფო მოღვაწემ, მეორედ შეიტანა ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტი. ეს ამბავი 1893 წელს მომხდარა. მეორედაც დამარცხდნენ ლიბერალები და გლადსტონი.

მთელს ოც წელიწადს ემზადებოდნენ ლიბერალები და მხოლოდ ეხლა გაჰბედეს ბრძოლის განახლება.

ამ დღეს პარლამენტის სადგომი ხალხით მთლად გავსებულიყო. პალატის დეპუტატთა ადგილებშიაც ტევა არ იყო. ინგლისის საზოგადოებათა პალატის სადგომი მაშინ აუშენებიათ, როდესაც დეპუტატთა რიცხვი ეხლანდელის ნახევარიც არ ყოფილა. პარლამენტში 670 დეპუტატია და 400 მეტი კი ვერ ეტევა. ამიტომ კარებთანაც კი იდგნენ დეპუტატები.

ლიბერალები ცოტა დაფიქრებულნი არიან; დაფიქრებულან ისე, ვით დაფიქრდება ხოლმე კაცი, როცა რაიმე პასუხსაგებს საქმეს იკისრებს. მუშათა დეპუტატები ბევრად უფრო ყოჩაღად არიან.

ასკვიტს დიდის ამბით მიეგებნენ. მას შემდეგ გამოჩნდა ირლანდიის ნაციონალისტთა ბელადი-ჯონ რედმონდი, შემდეგ ულსტერმონთა ბელადი—სერ ედუარდ კარლსონი და კონსერვატორთა მეთაური—ბონარ ლოუ.

როგორც კი შემოვიდა, ასკვიტმა თავმჯდომარეს სიტყვის წარმოთქმის ნებართვა მოსთხოვა და თავისი კანონ-პროექტი გააცნო დამსწრეთ.

პრემიერ-მინისტრმა აუღელვებლად, მშვიდად ილაპარაკა. იგი დეპუტატთა გრძნობაზე გავლენის მო-

ხდენას არ სცდილობდა, მხოლოდ გონიერებას მიჰმართავდა. მისი სიტყვა სამართლიანობისადმი მოწოდება კი არა, დამშვიდებული და ლოღიკური იყო. შეურყეველი იყო ასკვიტის ლოღიკა.

შეუძლებელია დაწვრილებით ყველაფრის გადმოცემა. მაგრამ კანონ-პროექტის შინაარსი დაახლოვებით ეს არის:

საიმპერიო პარლამენტის უფლება ხელუხლებელი დარჩება. ამის მიხედვით მიიღებს ირლანდია ავტონომიას

მხოლოდ ირლანდიის საკითხთა გადასაწყვეტად, ზოგიერთა გარანტიის დაცვით.

ირლანდიის პარლამენტი ორ ნაწილისაგან უნდა შესდგებოდეს: ზემო პალატა იქნება—სენატი, ქვემოსაზოგადოებათა პალატა. სენატორი 40 იქმნება და 8 წლის ვადით იმსახურებს. პირველად სენატორებს საიმპერიო პარლამენტი აირჩევს, შემდეგ ირლანდიისა. დეპუტატი სულ 164 იქნება. სენატში უფროსად უნდა იყვნენ უმცირესობის წარმომადგენელნი.

ირლმნდიის პარლამეეტს უფლება ექნება: ირლანდიის მშვიდობიანობისა, წესრიგისა და გონიერ მართვა-გამგეობისათვის გამოსცეს კანონები.

ირლანდიის პარლამენტი ვერ შეეხება ომისა და ზავის, ჯარისა, ფლოტისა და სახელმწიფოს ღალატის საკითხებს.

აგრედვე მისი საქმე არ არის მსხვილ მემამულეებისაგან მიწის გამოსყიდვა, მოხუცებულთათვის პენსიის დანიშვნა, პოლიცია, სახელმწიფო შემნახველი კასები, სახელმწიფო სესხი, რომელიც ირლანდიას ავტონომიის მიღებამდე აუღია, სახელმწიფო გადასახადის მოგროვება, გარდა საბაჟო და ფოსტის ფულისა.

პოლიცია ირლანდიის პარლამენტის ხელში გადავა 6 წლის შემდეგ, შემნახველი კასები—10, პენიონი—ერთი წლის განმავლობაში.

ირლანდიის პარლამენტს ნება არა აქვს სარწმუნოებათა საკითხის გადაწყვეტისა, რომელისამე მათგანის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და მისი მოსარჩელეობისა. ამით ირლანდიაში მცხოვრები პროტესტანტები უზრუნველყოფილნი იქნებიან.

ირლანდიის ვიცე-კოროლს „ვეტოს“ (აკრძალვა) უფლება აქვს მარტოოდენ მაშინ, თუ ირლანდიის პარლამენტმა უფლებას გადააჭარბა. ამის გამო ატეხილ საჩივარს ჯერ ირლანდიის სააპელაციო სასამართლო გაარჩევს, შემდეგ საიდუმლო საბჭოს სამოსამართლო კომიტეტი.

თუ ორსავე პალატას უთანხმოება მოუვა, საკითხს საერთო კრებაზე გაარჩევენ.

ირლანდიის პარლამენტი გაისტუმრებს ყველა ხარჯს, რომელიც მის გამგეობაში არსებულ საქმეებს ეხება.

ამას გარდა საიმპერიო პარლამენტის კანცლერი წელიწადში 500 ათას თუმანს მისცემს და შემდეგ ეს ხარჯი 200 ათასამდე უნდა ჩამოვიდეს.

ირლანდიის პარლამენტს საბაჟოს ისეთი გადასახადის შემოღება შეუძლიან, რანაირიც ინგლისშია. სხვა ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს ყველა ხარჯის 10 პროცენტსა.

ირლანდიას საიმპერიო პარლამენტში თავისი წარმომადგენელნი ეყოლება, ხოლო 103 მაგივრად 42 კაცი.

ირლანდიის პარლამენტს ნება არაქვს საავტონომიო კანონ-პროექტის შეცვლისა, გარდა ზოგიერთ უმნიშვნელო მუხლისა.

ბოლოს ასკვიტმა განაცხადა, ეს პირველი ნაბიჯია, რომელსაც სხვაც მოჰყვებაო. ავტონომია უნდა მივანიჭოთ შოტლანდიას, უელსს და თვით ინგლისსაც ცალკე (გარდა საიმპერიო პარლამენტისა).

აი, ასეთია ავტონომია, რისთვისაც ირლანდიელები ამდენ ხანს იბრძოდნენ.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

დარდანელის ამბავი

ბერლინი. გერმანიის გემთა პატრონების წრეებში ლაპარაკობენ: დარდანელის საკითხს საერთა-შორისო ხელშეკრულება ნათლად განმარტავსო.

მთავრობა უპასუხებს: ხელშეკრულებას მხოლოდ მშვიდობიანობის დროს აქვს ძალა და ომის დროს შეიძლება სრულიად დაჰკარგოს ძალაო.

სტამბოლი. სმირნიდან იტყობინებიან: იტალიელთ გემები, რომელნიც თენედოსსა, იმბროსსა, მიტილენსა, სამოსსა და როდოსთან იყვნენ, ხიოსს ხელ-ახლად დაუშინეს ზარბაზანი.

მინისტრთა სამბჭომ ხელ-მეორედ გადაშინჯა იტალიელების განდევნის საკითხი და გადასწყვიტა: ამ კვირასვე გახსნას დარდანელის გზა, თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა. სახელმწიფოებს ოსმალეთი ამ ორსამ დღეში გასცემს პასუხს.

რომი. იტალიის გაზეთებმა სამოსზე მომხდარი ამბავი გამოამჟღავნეს. იტალიელებს ოსმალეთის ჯავშნოსანი აუფეთქებიათ და ყაზარმისათვის სროლა დაუწყვიათ. ოსმალეთის ზარბაზნები მთლად დაუზიანებიათ. ჯარის უფროსის მოთხოვნილებისამებრ ოსმალეთის დროშა ჩამოუხსნიათ და იტალიელებისათვის გადაუციათ. ჯარის უფროსმა გამოაცხადა: თუ ხალხს სასტიკად მოექცევიან ოსმალნი, ხელ-მეორედ დავიწყებთ სროლასაო.

სტამბოლი. ნამდვილად არ იციან, იტალიელებმა მართლა აიღეს რომელიმე კუნძული თუ არა. სატელეგრაფო მავთულები ყველგან დაწყვეტილია და ურთიერთობა ჰელიოგრაფის შემწეობით სწარმოებს.

ჩინეთის რევოლუციონერები

დეპეშები

პეკინი. რუსეთის ელჩი იუანშიკაის ეწვია. პრეზიდენტის განკარგულებით ახალშენთა სამინისტრო გააუქმეს, რადგანაც ეხლა ყველა ეროვნება გათანასწორებულია. ამ სამინისტროს საქმეები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუქვემდებარეს.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

ტანჟერი. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის სიტყვით, თეირანში სპეხდარს წასულ კვირას შაჰსევნების ბელადები მოჰამედ-ალი ხანი, ნასრულა-ხანურთჩი, ნოვროზო-ხანი და სხვანი, ცოხიდან გაჰქცევიან. არდებილს ახლო არეულობისა და ძარცვა-გლეჯის გაძლიერებას მოელიან.

ურმია. რუსის რაზმის გაქცეული ჯარისკაცი ქალაქიდან ორი ვერსის მანძილზე, სოფელ დიზს ახლო ტყვიით მოკლული იპოვნეს, რაზმის უფროსმა მკვლელობა სოფელს დაბრალა, ჯარი შემოარტყა და მცხოვრებლები რომ გამორეკა, ზარბაზანი დაუშინა. გადასწვეს 8 სახლი.

დეპეშები

(დეპეშათა ჰეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

10 აპრილი.

მაროკოს ამბავი.

პარიზი. ფეცის აჯანყებისა და გამართულ ბრძოლის დროს მოუკლავთ 15 აფიცერი და 40 ჯარისკაცი, დაუჭრიათ 4 აფიცერი 70 ჯარისკაცი. მოუკლავთ საფრანგეთის თხუთმეტი ქვეშევრდომი, სხვათა შორის გაზეთ „მატენის“ კორესპოდენტი და მისი ცოლი.

ტანჟერი. ფეცში მუანი 8 აპრილს ჩამოვიდა და მშვიდობიანობაც აღადგინა. 4 და 5 აპრილის ბრძოლაში ფრანგებს დაუკარგავთ 2 აფიცერი და დაუჭრიათ მათთვს 60 კაცამდე. ამბობენ, ასამდე ებრაელი დაუხოციათ და დაჭრილიც ბევრიაო. ებრაელობა დიდ გაჭირებაში ჩავარდნილა.

სერბიის არჩევნები.

ბელგრადი. დამატებით არჩევნების შედეგი ასეთია: აურჩევიათ 83 რადიკალი, 39 ახალგაზდა რადიკალი, 22 ლიბერალი, 12 „ნაპრედნიკი“, ორი სოციალ-დემოკრატი, 7 რადიკალ-დისიდენტი. ხელმეორედ კენჭი უნდა უყაროონ ერთს. რადიკალებს იმედი აქვთ, ეს ადგილიც ჩვენ დაგვრჩებაო.

ჰუნგრეთის ახალი სამინისტრო.

ბუდაპეშტი. შეადგინეს ახალი კაბინეთი. მინისტრ-პრეზიდენტი ლუკაჩი ამასთანავე შინაგან საქმეთა მინისტრად იქნება. სტატს-სეკრეტარი თელესკი ფინანსთა მინისტრად დანიშნეს, იოსიფოვიჩი—ხორვატიის საქმეთა მინისტრად. დანარჩენები ძველები არიან.

„ტიტანიკის“ დალუპვის გამო.

ნიუ-იორკი. „ტიტანიკის“ ტელეგრაფისტის თანაშემწემ სთქა: ფრანკფურტი“ რო შეეკითხა, რა მოხდაო, ლანძღვით უპასუხეს თურმე, „კარპატიასთან“ მოლაპარაკებას ნუ გვიშლითო. თუმცა ეტყობოდა „ფრანკფურტი“ უფრო ახლო უნდა ყოფილიყო, ვიდრე „კარპატია.“

„ფრანკფურტის“ ტელეგრაფისტისათვის თურმე ეპასუხნათ, ნუ გვიშლით, სულელი ნუ ხართო.

გერმანიის რეიჰსტაგში.

ბერლინი. რეიჰსტაგმა სამხედრო კანონ-პროექტების გადაშინჯვა დაიწყო. კანცლერმა სთქვა; ეხლა საფრთხე არა გველის რა, მაგრამ უეჭველად საჭიროა ომისათვის მზად ვიყვნეთ; გერმანია არავის ედავება, მაგრამ ისეთი მდგბარეობაა, რომ ყოველთვის დიდ ზრუნვასა და თვალ ყურის დევნებას მოითხოვს. უეჭველად საჭიროა გერმანიის სამხედრო ძალის გაძლიერება.

სამხედრო მინისტრმა სთქვა: ჯარის გამრავლება 1911 წელს მომხდარმა ამბავმა გამოიწვიაო. საფინანსო საქმეთა სტატსსეკრეტარმა სთქვა: კარგად არის ჩვენი ქონების საქმე და შეიძლება ფულის გადადებაო.

რუსეთი

მატარებლის გადაჩეხა.

ეკატერინოსლავი. 8 აპრილს ჩრდილოეთ-დონეცის რკინის გზაზე საბარგო მატარებელი გადაიჩეხა. დამსხვრეულა 11 ვაგონი და გზა დაზიანებულა. ერთი კონდუქტორი მძიმედ დაშავებულა.

თეატრი და ხელოვნება

დ. ყვირილა. შაბათს, 7 აპრილს, ყვირილის საკრებულო დარბაზში სცენის მოყვარეთა ჯგუფმა არ. ვასო არაბიძის რეჟისორობით პირველად აქაურ სცენაზე წარმოადგინა **გედევანიშვილის „გამცემი“.** უმთავრესი პიესის გმირი—შაქრო, როგორც მოსალოდნელი იყო, მშვენივრად შეასრულა ვასო არაბიძემ; ს. ჯორბენაძისამ კნეინას როლში თავისი მჭევრმეტყველობით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, დასასრულ ითამაშეს ვ. გუნიას ერთ მოქმედებიანი ვოდევილი: **„რაც არ მერგება არ შემერგება“.** აქაც ვასო არაბიძემ ლუკას როლში მოგვაჯადოვა და საერთო ხანგრძლივი სიცილით კინაღამ დაგვხოცა; კარგი იყო აგრედვე ნუკას როლში ნ. მჭედლიძე. დანარჩენი სცენის მოყვარენი ანსამბლს ხელს უწყობდა, თუმცა რამოდენიმე სუსტობდა როლის ცოდნაში.

ურიგო არ იქნება რეჟისორმა სათანადო ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას: მეტი ენერგია, ხშირი რეპეტიციები, აი რა იხსნის მათ განსაცდელისგან. სამწუხაროდ, წარმოდგენას ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. ბევრი მათგანი, გარდა იშვიათის გამონაკლისისა, დროს ატარებს „ბითურ-ხლუსტის“ თამაშში, „ბახუსთან“ მასლაათში და კულტურულ გართობას გაურბის. **სა—შა.**

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი უბოძოთ, თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ წერილს.

თვალს ვადევნებდი ბ. ქადაგიძისა და დეგოთელის კამათს. ბ. დეკოთელის ერთმა შემცდარმა აზრმა, მაიძულა პასუხი მიმეცა. იგი მეორე წერილში სწერს („სახალხო გაზეთში“ № 503-ში) „თუშს აკრძალული აქვს არა თუშის ქალის შერთვა. შენი მტერი, თუ თუშმა გაბედა და სხვა ქალი შეირთო ამას ხო არც სახლში შეუშვებენ და არც ნათესავები მიიღებენ.“

ეს აზრი ბატ. დეგოთელისა სიმართლეს მოკლებულია. მე გახლავართ ბარის ქართველი ქალი და წოვა თუშის ცოლი. ამ 33 წლის წინედ, როდესაც განათლების სინათლე ისე არ იყო შესული თუშების ცხოვრებაში, როგორც ამ ჟამად არის, გავიცანი ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტის მასწავლებელი ნიკოლოზ ისაკის ძე ცისკარიშვილი და ქორწინებითაც გავათავეთ საქმე. იმავ წელსვე 1879 ში წავედით ს. ალვანში. ჩვენი მისვლა იქ არავის საწყენად არ დარჩენია. შინაურებიც და ნათესავებიც დიდის სიამოვნებით გვიღებდნენ.

ასეთი მაგალითი მხოლოდ მე არ გახლავართ. სხვებსაც ჰყავდათ და ჰყავთ ბარის ქართველი ქალი ცოლად, მაგრამ არავისგან არ გამიგია ისეთი უცნაური მიღება, როგორც ასურათებს ბ. დეგოთელი. თუ თუშის განათლებული ყმაწვილი კაცები ირთავენ ისევ გაუნათლებელ თუშის ქალებს, ეს იმათი სურვილია და არა აკრძალვის მიზეზი.

იმავე გაზეთში ბ. დეგოთელი ეხება თუშის ქალების ქართული ენის უცოდინრობას. წოვა თუშის ქალებზე უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ჩემ ახალგაზდობას ბევრმა არ იცოდა რიგიანი ქართული. ზოგი თითქმის ვერც კი ლაპარაკობდა; ამ ბოლოს დროს კი სკოლისა და ქართველებში მისვლა-მოსვლის გამო არ მეგულება ისეთი მოზრდილი ქალი, რომელმაც არ იცოდეს ქართული.

თქვენი პატივისმცემელი ანნა ეფრემის ასული **ცისკარაშვილისა.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კუჭდღელაშვილი.

გამოსაღეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში დამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—III კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში დამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. დამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 18 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. დამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. დამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მიესდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები ბლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი; გარდა საჭიროა შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ბ. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ, 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შეტოლებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საპშელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ბ. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ბ. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ბ. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. ნ. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკითფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუადამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაივლიან ოთხშაბათობით და პარაკსეობით შუადამეს.

განცხადებანი

სამშოგიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34. ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს, ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებოის საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ.**

(თ. 1646.43) **მიკირტუმოვი.**

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—სიშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულითა-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგალიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.

ა. დ. კალმაკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ავადმყოფებს ექიმები ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(100—1615—51)

ექიმი ა. ნ. დ[illegible]ასარ[illegible]ძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს [illegible] დილით [illegible] 3 საღამ. 6 [illegible] ს. [illegible] ბაზარში—ახალ[illegible] დილით [illegible] ს. [illegible] ავადმყოფებს [illegible] იღებს. [illegible]

ეჰიმ ნავასარდიანი

პირველი კერძო

სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ — 11—12 ს. შეშხაპუნებ[illegible]

კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბაგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგან. საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთადვილად, უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციებ[illegible] მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ნ. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.54)

ბორჯომის საზოგადო[illegible] საპრეგულ[illegible]

ახლად შეკეთებულ და გაფართოებულ

გუფეტს 1 მაისიდან ი[illegible]ჯარით

გასცემს. საკრებულოში შაბათობით ოკრკესტრი უკრავს. **ჰორობეზის** გასაგებად სკკრ[illegible] ბულოს მიჰმართეთ. (6.1190.[illegible])

ქ. გ ო ტ ი ნ (ბედაბეთის მიდამოში) იყიდება ან იძლევა იჯარით

მშვენივრად შემოზღუდული ოცი ხეხილიანი ვენახი—საკმარისი სარწყავი წყლით, ზომიერ ერთი 600, და მეორე 1200 საჟენი; თვითეული მათში იმყოფება ქვიტკირის სახლი, სათანადო—მარნით. ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართვა: ქ. **ტფილისში,** ნიკოლოზის ქ. № 75, **ბ თ-ძე მირონტინს, გორში**—ფოტოგრაფ **ქარუმიძეს.** (10.349.5)

შემთხვევით

იყიდება სახლი

ბანკის ვალით. თამარინის ქუჩაზე № 1. ნახვა შეიძლება საღამოობით 5—7 საათამდის. იკითხეთ ლეჟავა. იქვე იყიდება სახლის ავეჯეულობა.

(3—360—1)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ქვირითი ½ მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართა, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსუული თევზი

(წ.—1131—34)

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა[illegible]**

ლური ივან-ბრაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლიდან—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Голованский пр. № 8 და წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოგანეზოვთან.

რედ[illegible] ორი **ნინო ნაკაშიძე**-

(წ.—1627—55 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე ი[illegible]ის ძე თუმანიშვილი.**